№341 2014 წლის 4 მარტი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 9 დეკემბრის N1129 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2013 წლის 6 სექტემბრის (N1037-Iს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დადგინდეს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს საპატრიარქოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 9 დეკემბრის N1129 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობები, კერძოდ, გაუქმებულ იქნეს განკარგულების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობა.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**